

კასპის მუნიციპალიტეტი



საკანცელარიო საქონლის შესყიდვა
CPV-30100000

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
სატენდერო დოკუმენტაცია

კასპი
2017 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----3
2. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ----- 3
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ----- 4

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები

2.1 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, დანართის # 1. ფასების ცხრილი წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი ფორმით.

ბ) იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20 %-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, დადებითი საქსპერტო დასკვნა (ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფასების შესახებ.

გ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 120 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპიდან;

2.5 ანგარიშსწორების პირობები:

2.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაძლო ანგარისწორებით ლარში.

2.5.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	მიწოდების ადგილი, მიწოდების ვადა
1	მაგიდის კალენდარი	მაგიდის, 2017 წლის, დასადაგამი, ფურცლების გადაშლის საშუალებით, აღნიშნული უნდა იყოს უქმე დღეები /ქართულენოვანი/	ცალი	47		ქ. კასპი, მერაბ კოსტავას ქუჩა №18 არაუგვიანეს 10 დღე
2	კედლის კალენდარი ჩამოსაკიდი	კედლის 2017 წლის, სამგანყოფილებიანი სანიშნით. /ზამზარაიანი/	ცალი	50		
3	სტეპლერი	24X6	ცალი	40		
4	სტეპლერი	23X10	ცალი	2		
5	ანტისტეპლერი	სტანდარტული	ცალი	30		
6	სტეპლერის ტყვიები	სტეპლერის ტყვიები 24/6	შეკვრა	170		
7	სტეპლერის ტყვიები	სტეპლერის ტყვიები 23/10	შეკვრა	15		
8	სტეპლერის ტყვიები	სტეპლერის ტყვიები 10	შეკვრა	30		
9	სკრები ფერადები	28მმ	შეკვრა	100		
10	სკრები დიდი	60მმ	შეკვრა	10		

11	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი არანაკლებ 90X80	შეკვრა	120		
12	ჩასანიშნი ქაღალდი თეთრი	ჩასანიშნი ქაღალდი თეთრი არანაკლებ 90X80-ზე	შეკვრა	120		
13	თითის დასასველებელი	ბურთულიანი	ცალი	10		
14	3 ფერის ბურთულიანი კალამი	(700 ლურჯი 150 წითელი და 150 შავი)	ცალი	1000		
15	ტუშის კალამი 3 ფერის	(50 ლურჯი 15 წითელი და 15 შავი) ფერის	ცალი	80		
16	კორექტორი (ფუნჯი)	კორექტორი (ფუნჯი)	ცალი	50		
17	კორექტორი (კალამი)	კორექტორი (კალამი)	ცალი	30		
18	მაგიდაზე დასადები ყუთი ორგანიზერები	შავი, არანაკლებ 11 საგნიანი	ცალი	10		
19	მაგიდის საქაღალდე პლასტმასის	სამ განყოფილებიანი 15 (45 ცალი) მუქი შავი ფერის	კომპლექტი	15		
20	მარკერები სხვადასხვა ფერის	100 ფოსფორისფერი, 50წითელი, 50 შავი, 20 ლურჯი	ცალი	220		
21	მარკერი /SD DVD/	15წითელი 15 შავი	ცალი	30		
22	მარკერები მაგნიტური დაფისათვის	3 წითელი 3 შავი 3 ლურჯი	ცალი	9		
23	საშლელი ბალიში	მაგნიტური დაფისათვის (კარგი ხარისხის)	ცალი	3		
24	მაკრატელი		ცალი	30		
25	საკანცელარიო დანა	მეტალის კომბინირებული კორპუსით, რეზინის ხელსაკიდით, სიგრძე არანაკლებ 163 მმ	ცალი	35		
26	მაგიდის კალკულატორი	არანაკლებ 12 თანრიგი, ელემენტით და ელემენტის გარეშე მუშაობის საშუალებით	ცალი	25		
27	საკანცელარიო კლიპაბი (ქაღალდის დამჭერი) დიდი ზომის	საკანცელარიო კლიპაბი (ქაღალდის დამჭერი) დიდი ზომის-51მმ	ცალი	350		
28	საკანცელარიო კლიპაბი (ქაღალდის დამჭერი) საშუალო ზომის	საკანცელარიო კლიპაბი (ქაღალდის დამჭერი) საშუალო ზომის-41მმ	ცალი	100		
29	საშლელი	საშლელი	ცალი	100		
30	სახაზავი	გამჭვირვალე	ცალი	50		
3	ბეჭდის საღებავი (წითელი და ლურჯი)	ბეჭდის საღებავი (3 წითელი და 3 ლურჯი)	ცალი	6		
132	წებო მშრალი	საშუალო ზომის	ცალი	70		
33	წებო თხევადი	საშუალო ზომის	ცალი	10		
34	ფორტო ქაღალდი (180 გრამიანი)	A4 ფორმატის კარგი ხარისხის (20 ფურცელი)	შეკვრა	5		
35	A3 ფორმატის საბეჭდი უმაღლესი ხარისხის ქაღალდი	A3 ფორმატის საბეჭდი უმაღლესი ხარისხის ქაღალდი (500 ფურცელი)	შეკვრა	10		
36	ფანქრები 2M	საშლელით	ცალი	150		
37	ფანქრების სათლელი		ცალი	50		
38	მექანიკური ფანქარი	ლითონის კარკასით 0.7მმ	ცალი	32		

39	მექანიკური ფანქრის გულები	0.7მმ 2M	შეკვრა	50
40	ჩასსანიშნი ქალაღი წებოვანი	არანაკლებ 75*75მმ	შეკვრა	120
41	ჭიკარტი		შეკვრა	30
42	A4 ფორმატის კალკის ქალაღი	A4 ფორმატის კალკის ქალაღი (250 ფურცელი)	შეკვრა	1

მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს საქონლის ნიმუშების რამოდენიმე ვარიანტი.

2.7. მიწოდების პირობები და ვადები:

2.7.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან უგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

2.8. მიწოდების ადგილია. კასპი კოსტავას ქ. №18.

2.11 ღირებულება

2.11.1 სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 3 000 ლარს.

3 დამატებით ინფორმაცია

3.1. დაინტერესებულ პირებს დამატებით ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ კასპის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ირმა შერმადინს, ტელ: 5 99 85 73 95.

მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება #**

კასპი

----- 2017 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ერთის მხრივ კასპის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის გოჩა გოჩიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვის კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 საკანცელარიო საქონელის მოწოდება.

2.2 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედდებული) საფუძველზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება- ჩაბარების აქტს.

5.2 საქონლის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

საქონლის დასახელება, ღირებულება, მოცულობა;

6. საქონლის მოწოდების ვადა

6.1 საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს -----კალენდარული დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

8.3 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.4 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგადამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% - ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 % პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

